Published by TSU Press | DOI: [https://doi.org/10.62119/sjn.27.2026.12248]
© Nona Maziashvili, 2026 | ISSN 1512-2514 (print) | E-ISSN 2346-772X (online)
This is an open access article distributed under the terms of the Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License (CC BY-NC 4.0).
https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/
Sjani 27 (2026), [pp. 291-308]
sjani.ge

უცხოობის სხვადასხვა შრეები ჯოზეფ კონრადისა და ლეო ვარდიაშვილის რომანებში
Different Layers of Strangeness in the Novels of Joseph Conrad and Leo Vardiashvili

ნონა მაზიაშვილი
Nona Maziashvili
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University
საქართველო, თბილისი
Georgia, Tbilisi

Received [1 May, 2026] | Accepted [1, July, 2026] | Published online [3 November]

Abstract

The growing significance of exophonic writers, that is, writers who write outside their mother tongue, in shaping world literature urges us to understand this phenomenon better. Writers' choice to adopt a second language can stem from several reasons, among which migration is the most common. With increased global mobility since the dawn of the twentieth century, more and more writers seek shelter for their thoughts and tales in a language that is not their first. Such was the case with Joseph Conrad and Leo Vardiashvili. Their novels, *Under Western Eyes* and *Hard by a Great Forest*, respectively, which this paper examines, are products of exophony and therefore bear a certain resemblance in terms of thematic and textual strangeness.

To conduct a comparative study of the various layers of strangeness in the novels of Conrad and Vardiashvili, this paper approaches the concept through the idea of the Stranger as viewed in works from different disciplines, including those of Georg Simmel, Emmanuel Levinas, Carl Jung, and Albert Camus.

Both exophonic writers achieve a certain degree of strangeness in their texts through different techniques. Conrad, in *Under Western Eyes*, uses a narrator to

create distance between the Western reader and the text. Thus, the narrator of this Russian story is an English teacher of languages. In addition, the novel is sprinkled with calques translated from Russian, which are especially abundant where the narration follows Razumov's records.

Vardiashvili, meanwhile, infuses the English language with linguistic and cultural foreignness through occasional exclamations, attempts to mimic Georgian swearing, Georgian place names, nicknames, and culturally specific terms. Furthermore, the flooding makes his depiction of the world of Georgia appear even more surreal.

The protagonists of both novels suffer from being strangers to the worlds they inhabit. Although their ethnicity makes them partially close to the communities around them, a number of their characteristics render them alien, leading to a marginalised existence.

The loneliness and strangeness of the central character of Conrad's novel form the main frame of his Being, rooted in his profound difference from others. Adjectives such as *enigmatic* and *mysterious*, characteristics commonly attributed to the Stranger, frequently appear in relation to Razumov.

Saba, the main character in Vardiashvili's novel, is a stranger in a strange land, even though he was born there. His accent, clothes, and cigarettes all emphasise his strangeness. He comes from afar and seeks shelter, as Levinas understands the condition of the stranger. Above all, however, he is a stranger to himself in the Jungian sense, and the many voices in his head attest to this.

To conclude, it may be argued that both works represent a merger of the familiar and the strange, qualities embedded in their textual fabric, atmosphere, and overall ambience. Conrad's narrative technique of estranging Razumov's world from the Western reader and the surrealistic cosmos of Vardiashvili create compelling, exotic texts that are oddly familiar and unsettlingly mysterious, stirring the reader's interest. Despite the gap of more than a hundred years between them, a comparative analysis of these works reveals textual and characterological strangeness to be a marked tendency of exophonic fiction.

Keywords: Exophony, stranger, strangeness, Conrad, Vardiashvili
საკვანძო სიტყვები: ექსოფონია, უცხო, უცხოობა, კონრადი, ვარდიაშვილი

ექსოფონია, ანუ არამშობლიურ ენაზე წერის პრაქტიკა არ არის უცხო ფენომენი, თუმცა ტერმინი შედარებით ახალია. ექსოფონ ავტორთა ტექსტების მნიშვნელობის ზრდა XX საუკუნის ადრეული წლებიდან დაიწყო და XXI საუკუნეშიც გრძელდება. მწერლის არჩევანი, წეროს არა მშობლიურ, არამედ უცხო ენაზე, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. ერთ-ერთი აშკარა აუცილებლობა კი დგება ავტორის მიგრაციის შედეგად, რომელიც ქვეყნის გარდა ენაში მიგრაციასაც მოიცავს და მწერლებიც აქტიურად ირჩევენ ახალ საცხოვრისს თავიანთი ფიქრებისა და ამბებისთვის, როგორც ჯოზეფ კონრადისა და ლეო ვარდიაშვილის შემთხვევაში მოხდა. მათი რომანებიც „დასავლეთის თვალწინ“ (1911) და „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ (2024), რომლების კვლევასაც ეს ნაშრომი ისახავს მიზნად, ექსოფონიის შედეგია.

გლობალიზაციის ეპოქაში, მსოფლიო ლიტერატურის ფორმირების პროცესი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს და ექსოფონიის გავლენის მასშტაბებისა და ასპექტების შესწავლაც განსაკუთრებით აქტიურად დადგა დღის წესრიგში. თომსენი თავის ნაშრომში „უცხოობა და მსოფლიო ლიტერატურა“ (2013) აღნიშნავს, რომ მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან წილს, გარდა ეროვნული ლიტერატურებისა, შეადგენს მიგრანტი მწერლები და ლიტერატურა, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებებს ეფუძნება (მაგალითად, როგორიცაა ჰოლოკოსტი). ექსოფონური ტექსტების მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ისინი იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად ატარებენ უცხო ენების კვალს. ეს შეიძლება გამოიხატებოდეს სიტყვების შერჩევით, ტექსტობრივ ქსოვილში ე.წ. პატერნებით, თუ უცხო მენტალური კონსტრუქტებით (Ljubimova 2015: 128), რადგან ლიტერატურული ტექსტი არ არის მხოლოდ ენობრივი პროდუქტი – ის კონკრეტული ეროვნული ცნობიერების ნაყოფია, ამა თუ იმ ენობრივ სხეულში გამოკრული ნიჭიერება.

ექსოფონი ავტორების შემოქმედება ლიტერატურული კონტაქტის ადგილია. სხვადასხვა კულტურულ და ლინგვისტურ ტრადიციებს შორის გახიდულ ექსოფონ ავტორებს, თავიანთი კოსმოპოლიტური გამოცდილებიდან და გავლენებიდან გამომდინარე, შეუძლიათ, რეალურად გლობალური ტექსტები შექმნან. მათ გლობალურობას, ფართო ხელმისაწვდომობასა და მნიშვნელობას კი მთელი რიგი ასპექტები განაპირობებს. ერთ-ერთი ასეთი ასპექტი კი არის ტექსტის უცხოობა. შესაბამისად, კვლევა კონრადისა და ვარდიაშვილის ორი რომანის შედარებითი ანალიზის გზით იკვლევს უცხოობასა და მისი გამოვლინებების ფორმებს.

უცხოობა რამდენიმე დისციპლინის კატეგორიად შეიძლება განვიხილოთ: ფილოსოფიის, სოციოლოგიის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნე-

ობის, სოციალური ფსიქოლოგიის და ა.შ. მისი ეს ფართოდ გავრცელებული განხილვა კი სწორედ „უცხოს“, მისი მნიშვნელობისა და არსისადმი უწყვეტ ინტერესს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, უცხოობა დისციპლინათაშორისი კატეგორიაა და მის შესასწავლად ერთ დარგში, როგორიცაა, მაგალითად, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, მნიშვნელოვანია სხვა დარგების მიდგომები, მათი თეორიების მისადაგება და იმის კვლევა, თუ როგორ აისახება ეს თეორიები ლიტერატურულ ტექსტებში და თავად ტექსტებზე.

როგორც ემანუელ ლევინასს წარმოუდგენია, მეტაფიზიკური სურვილის ვექტორი „ჩემიდან“ „სხვისკენ“ არის მიმართული, სხვაგან ექაჩება ადამიანს. შესაძლოა, ამიტომაც ტექსტის სიუცხოვე, იქნება ეს თემატიკის თუ ფორმის თვალსაზრისით, ერთგვარი ინტერესის გამომწვევია. ლევინასის თვალში „უცხო“ არის „სხვას“ ყველაზე თვალსაჩინო განსხეულება (თუმცა „სხვას“ უცხომდე დაყვანა მისთვის მიუღებელია) და „უცხოს“ განსხვავებულობა (alterity) თავგადასავლისა და რისკის ბიძგი ხდება.

თავის „დასავლურ კანონში“ ჰაროლდ ბლუმი მწერლის ან ტექსტის კანონიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად „უცხოობას“ მიიჩნევს, როგორც ერთგვარ „ორიგინალობის მოდუსს,“ რომლის “ასიმილაციაც ან შეუძლებელია, ან იმდენად მოგვიცვამს, რომ მას, როგორც უცხოს, ვეღარ აღვიქვამთ“ (Bloom, 1995, p. 3). მისი აზრით, სწორედ ეს უცხოობა ქმნის იმ შთაბეჭდილებას, რომ რაღაც იდუმალს შევეხეთ.

საინტერესოა, რა არის უცხოობის ის მისაღები ხარისხი, რაც ტექსტს ეხმარება ეპოქიდან ეპოქაში, კულტურიდან კულტურაში გადავიდეს ისე, რომ შეინარჩუნოს მკითხველის ინტერესი. ხშირ შემთხვევაში, კონკრეტულის და უნივერსალურის, ნაცნობისა და უცხოს შერევა (კონრადის პირადი ფორმულა) იძლევა იმ შედეგს, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ტექსტი მიმზიდველი და საინტერესო იყოს მსოფლიო მკითხველისთვის. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის სათავგადასავლო-სამოგზაურო ლიტერატურა, რომელსაც ევროპა საუკუნეების განმავლობაში ეწაფებოდა. ევროპელი პერსონაჟებით, მათი ნაცნობი განცდებითა და ემოციებით მიმობნეული სამყაროები (იქნებოდა ეს შორეული ახალი სამყარო, დედამიწის ცენტრი თუ გაუვალი ჯუნგლები) უწყვეტად ავსებდნენ თეთრ ფურცლებს. მკითხველიც დაეხეტებოდა ამ სამყაროებში და გზამკვლევად ნაცნობ ადამიანურ სურვილებსა და ამბიციებს დაატარებდა.

უცხო სხვადასხვა დისციპლინაში

უცხოს თემატიკის საკვლევად სტატია ეფუძნება რამდენიმე სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ნაშრომს, რომლებიც ქმნიან წარმოდგენას უცხოზე, მის ხასიათზე, ადგილისა და მასთან დაკავშირებულ მიმართებებზე. აღნიშნულს გამოვიყენებთ კონრადის რომანის „დასავლეთის თვალწინ“ და ვარდიაშვილის რომანის „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ ანალიზისთვის და მათში უცხოობის სხვადასხვა შრეების შესასწავლად.

გეორგ ზიმელის მიხედვით უცხო თემშია, თუმცა თემის ნაწილი არ არის. უცხო ახლოს არის და ამავე დროს შორსაა, რაც გულისხმობს, რომ მის ფიზიკურ სიახლოვეს თან ახლავს კულტურული სიშორე. ზიმელისთვის უცხოს კონცეფცია განისაზღვრება ფსიქო-კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორებით. უცხო ერთგვარად მოხეტიალეა, რომელიც მოვიდა, რომ დარჩეს, თუმცა რჩება პოტენციურ მოხეტიალედ. უცხოს კულტურული სიშორიდან გამომდინარე, მას აქვს თვისებები, რომელიც იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ცხოვრობს, დამახასიათებელი არ არის. სწორედ ეს თვისებებია, რის გამოც, მიუხედავად იმისა, რომ იგი საზოგადოების ნაწილია, ამავე დროს გარეშე პირი (outsider) და სტრუქტურულად მარგინალიზებულია. სწორედ ასეთი სტრუქტურული პოზიციის გამო, უცხო სტიგმატიზირებული და საზოგადოებაში/თემში მიმდინარე ძირითადი პროცესებისგან გამოთიშულია.

უცხოს საზოგადოებაში ადგილსა და შექმნილ ურთიერთმიმართებებზე მკვლევრები სხვადასხვა მოსაზრებებს გვთავაზობენ. დერიდა აღნიშნავს, რომ უცხო წარმოშობს კითხვებს და აფიქრებს საზოგადოებას, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ეს სიტუაცია თავად ამ კონკრეტული საზოგადოებისთვის უფრო ხელსაყრელ სიტუაციას ქმნის, ვიდრე თავად უცხოსთვის (Cook 2022: 152). ბაუმანი შენიშნავს, რომ უცხოდ ყოფნა მაინც სახიფათო მდგომარეობაა (2002), რადგან ნებისმიერი შეფერხების, არეულობისა თუ გართულების შემთხვევაში, ყველა თითი უცხოსკენ მიემართება, როგორც დამნაშავისკენ. და ზოგადად, უცხოს შიში დაკავშირებულია შეუცნობლის შიშთან სწორედ იმ თვისებათა გამო, რაც მას განასხვავებს და გააუცხოებს ადგილობრივი თემისგან.

ლევინასისთვის „სხვამ“, რომელსაც ჩემი სახლის კარს ვუღებ, შეიძლება მიიღოს ნებისმიერი სახე: „უპოვრის, უცხოელის, ქვრივის და ობლის“ (Levinas, 2007, p. 251). თუმცა უცხოს ყველაზე გამორჩეული თვისება ის არის, რომ ის სხვა, უცხო ადგილიდან მოდის.

ფსიქოლოგიაში უცხო შეიძლება იყოს თავად ადამიანის ამოუცნობი, ქვეცნობიერი მხარე, რომელსაც იუნგი „აჩრდილს“ უწოდებს. ადამიანის ამ ბნელი მხარის გაანალიზება და ცნობიერში ამოტანა არის „ნებისმიერი სახის თვით-შეცნობის აქტის უმნიშვნელოვანესი პირობა“ (Jung and Campbell, 1976,

p. 145). რადგან ჩვენშია და თანაც ამოუცნობი, შესაბამისად სახიფათო და საშიში, ჩვენსავე „აჩრდილის“ თვისებებს ხშირად მივაწერთ უცხოს, როგორც არასასურველი სტრუქტურული პოზიციის მონადას.

ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო მკვლევრები უცხოს ცნებას უკავშირებენ ადამიანის ბინარულ აზროვნებას, რადგან უცხოს საკითხი ხშირად დგება, როგორც „ჩვენ“ „სხვას“ წინააღმდეგ. ქრისტინ დელფი მიიჩნევს, რომ სწორედ ტერმინი „სხვები“ (others) გამოხატავს „უცხოს“ ცნებას და მასში მოიაზრებს მეინსტრიმისგან განსხვავებულ ნებისმიერი უმცირესობის ჯგუფს. ეს ტერმინი უფრო პოსტ-მოდერნისტულად და ყოვლისმომცველად მოიაზრება კიდეც (Cook, 2022, p. 152). უცხოობა ყოფიერების მთავარი მახასიათებელია. როგორც ჰაიდეგერი ამბობს, „ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თვალსაზრისით, „არა-სახლში-ყოფნა“ უნდა აღვიქვათ, როგორც პირველქმნილი ფენომენი“ (Saldukaitytė, 2019, p. 12).

ეგზისტენციალური კუთხით თუ შევხედავთ, უცხო არის ის, ვინც მიღებულ ნორმებსა და სოციალურ კონვენციებს უგულვებელყოფს, და ამავე დროს, უარს ამბობს თვალთმაქცობასა და ტყუილზე, როგორც კამიუს მერსო. თავად კამიუ ამერიკული გამოცემის წინასიტყვაობაში ასე ახასიათებს პროტაგონისტს: „ჩემი წიგნის გმირი უარს ამბობს ითამაშოს მიღებული თამაში. ამ თვალსაზრისით, იგი არის უცხო იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ცხოვრობს“ (Bloom, 2009, p. 19). ლევ შესტოვის აზრით კი „ყველას, ვინც შეეცდება, ცხოვრებას შეხედოს იმისგან განსხვავებულად, რასაც მისგან თანამედროვე მსოფლმხედველობა მოითხოვს, შეუძლია და უნდა ელოდოს კიდეც, რომ არანორმალურ ადამიანებში ჩარიცხავენ“ (შესტოვი, 2020, გვ. 16). კამიუს უცხო, შეიცნობს რა სამყაროს აბსურდულობას, იმას, რომ სიცოცხლე არად ღირს, რომ სამყარო გულგრილია ადამიანური ტანჯვის მიმართ, მზადაა მიიღოს ცხოვრება ისეთი აბსურდული, როგორიც არის, ყოველგვარი მნიშვნელობის, საზრისის გარეშე. კამიუს კი „თავხედობა“ (როგორც ამას ლევ შესტოვი უწოდებს) ჰყოფნის ეს აბსურდულობა ტყუილის გარეშე გადმოსცეს. ეს სიმართლე, როგორი უარყოფითიც უნდა იყოს, არის „სიმართლე თუ ვინ ვართ და რას ვგრძნობთ; და მის გარეშე არც საკუთარი თავის დამორჩილებაა შესაძლებელი და არც მსოფლიოსი“ (Bloom, 2009, p. 20).

ტექსტი, როგორც უცხო

ორივე ტექსტი, კონრადის „დასავლეთის თვალწინ“ და ვარდიაშვილის „ერთი დიდი ტყის მახლობლად,“ არის უცხოური ამბავი დასავლელი (ბრიტანელი) მკითხველისთვის. შესაბამისად, ორივე ავტორს აქვს თავისებური მიდგომა, თუ როგორ გადმოსცეს უცხო ამბავი. მოცემულ ორ მწერალს შორის

ერთი მსგავსება ის შეიძლება იყოს, რომ ორთავე უცხოს და ნაცნობის საჭირო კომბინაციას წარმატებით აღწევს.

შესაძლოა, მისი სამწერლო კარიერის დასაწყისში კონრადს პოლონიზმები ტექსტში ბუნებრივად ეპარებოდა, მაგრამ უფრო გვიანდელ ტექსტებში ეს კონსტრუქციული აღრევები გულმოდგინე, მიზანმიმართული და ოსტატურია და რაც მთავარია, აქვს ძალიან კონკრეტული მიზანი. როცა ტექსტის გარემოს სხვა, შორეულ ქვეყნებში გადაჰყავს მკითხველი, ბუნებრივია, ტექსტმა უნდა დატოვოს სიუცხოვის ის ეგზოტიკური გემო, რის გამოც ასე ინტერესით ჩაჰკირკიტებს ადამიანი შავი მელნით გავსებულ გვერდებს. როცა მწერალი დიდი ოსტატია, ამ ეგზოტიკური, უცხო გემოს შესაქმნელად მთელ რიგ ხერხებს იყენებს, როგორც კონრადი თავის რომანში „დასავლეთის თვალწინ."

„რუსული თემატიკის" რომანზე მუშაობისას ჯოზეფ კონრადს არაერთი გადაწყვეტილების მიღება მოუწია. პირველ რიგში კი, უნდა შეერჩია ისეთი ნარატიული ფორმა, რომელიც თავად მის გამოცდილებას, რუსეთის მიმართ მის განწყობასა და მის ავტორისეულ მეს გამიჯნავდა ტექსტისგან. ამისთვის კი კონრადმა საკმაოდ რთული ნარატიული სტრუქტურა შეარჩია – ორმაგი თხრობა: ამბის ერთი მთხრობელი თავად რომანის პროტაგონისტი რაზუმოვია, რომლის ჩანაწერები ხელში ჩაუვარდა ინგლისელ მასწავლებელს. ის კი, რუსულის ცოდნის გამოყენებით, ინგლისელ (ევროპელ) მკითხველს უყვება ამ ამბავს. ენიდან ენაში (რადგან ინგლისელი მასწავლებელი მთარგმნელის როლსაც ირგებს), სიტყვიდან სიტყვაში, მთხრობელიდან მთხრობელზე გადასვლაში კი აზრთა წვდომა კიდევ უფრო რთულდება და ის მტკიცება, რომ „სიტყვები რეალობის ყველაზე დიდი მტერია" (Conrad, 2001, p. 5), სინამდვილედ იქცევა.

ინგლისელი მთხრობელის ჩაყენება ამბავსა და მკითხველს, საკუთარ თხრობასა და მკითხველს შორის, რუსული სულისა და ხასიათის ამ ამბავს კიდევ უფრო უცხოს ხდის. იმის ნაცვლად, რომ რაზუმოვის განცდებისა და ჭოჭმანის მოწმენი თავად გავხდეთ, ამას ვინმე მასწავლებლის პირიდან ვისმენთ, რომლის კომენტარებიცა და ინტერპრეტაციებიც ორმაგად ართულებს საქმეს. თუმცა კონრადის ჩანაფიქრი, ორაზროვანი და არაინტერპრეტირებადი გაეხადა რომანი, მიზანმიმართულია და ეფუძნება ავტორის რწმენას, რომ რუსეთი ის ქვეყანაა, რომლის გაგებაც ევროპას არ ძალუძს. „ეს არის რუსული ამბავი დასავლეთის ყურის გასაგონად", არაერთგზის ამბობს მთხრობელი. ამიტომ ნარატიულ ტექნიკასაც ზუსტად უნდა შეესრულებინა ეს დებულება.

„რუსული სულის მოხელთება" (Stape, 1996, p. 123), რაც დასაწყისშივე კონრადის მიზანი იყო, შეუძლებელი იქნებოდა გაუცხოების გარეშე, იმ შინაგანი შეუღწევადობის გამო, რაც ევროპას რუსეთის მიმართ ახასიათებს. ამიტომაც, ოქსიდენტი მთხრობელი, ერთი მხრივ, საჭირო მანძილზე მიჰყვება

ამბავს და მეორე მხრივ, საჭირო მანძილს ტოვებს დასავლეთსა და რუსეთს შორის, დემოკრატიულ სამყაროსა და ავტოკრატული წყევლით შეპყრობილ მიწას შორის.

ამ ყველაფერს კი ემატება რუსული კალკითა და გამოთქმებით გაჯერებული ენობრივი ქსოვილი (რაც უფრო თვალში საცემია რომანის პირველ ნაწილში, სადაც სანქტ პეტერბურგში განვითარებული მოვლენებია აღწერილი და რომელიც უშუალოდ რაზუმოვის ჩანაწერების შინაარსს გადმოგვცემს). ჟურნალ „ათინეუმში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში წერია, რომ „წიგნი იკითხება, როგორც სხვა ენიდან ნათარგმნი“ (Luyat, 2025, p. 41). კონრადის მეგობარი, ედუარდ გარეტი კი შენიშნავს, რომ რომანის „ბოლო გვერდი ისეთივე სიბნელეში ტოვებს მკითხველს, როგორც პირველი“ (Stape, 1996, p. 123). ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა კონრადის ტექსტებმა არაერთგვარი დამოკიდებულება და გაუგებრობა გამოიწვია. კონრადის პროზის უცხოობა და სიუცხოვე (იქნებოდა ეს პერსონაჟისა თუ თხზული სამყაროსი) ყოველთვის ქმნიდა მისი ტექსტების გაგებისა და ინტერპრეტაციის პრობლემას. თუმცა, რუსულ თემატიკაზე დაწერილმა ამ რომანმა ყველაზე მეტი საფიქრალი გაუჩინა კონრადის კრიტიკოსსაცა და მეგობარსაც.

რომანის პირველ ნაწილში, როცა თხრობა რაზუმოვის ჩანაწერებს მიჰყვება, ან როცა კი ინგლისელი პროფესორი ამ ჩანაწერებს უბრუნდება, რუსული ფრაზების კალკი ხშირად ჩნდება. ალბათ სწორედ ამიტომ იყო, რომ სხვა ენიდან ნათარგმნს შეადარეს ეს რომანი. გარდა იმისა, რომ ტექსტში გვხვდება ისეთი რუსული სიტყვები, როგორიცაა „მუჟიკ“ (moujik), „დვორნიკ“ (dvornik), ხშირია ისეთი ინგლისურენოვანი რუსული ფრაზები, როგორიცაა, Devil take him (черт его возьми), Go with God (с богом), Little father (батюшка), Be pleased to follow me (будьте добры следуйте за мной), Little pigeon (голубчик) და ა.შ.

უცხოობის დასაგვირგვინებლად კი, რადგანაც ამბავი რუსებს, რუსულ სულსა და ყოველივე რუსულს ეხებოდა, კონრადმა იმ პერიოდისთვის უკვე ნათარგმნი და პოპულარული რუსული რომანის სიუჟეტი გამოიყენა. ეს იყო დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, რომელსაც მის რომანს ხშირად ადარებენ. მისი ნაწარმოების გმირიც რასკოლნიკოვის გზას უნდა დაადგეს: დანაშაულის ჩადენა, დანაშულის გრძნობით ტანჯვა, სინანული და საბოლოოდ, აღიარება. მეორე მხრივ, რომანში კონრადმა მოაბნია დასავლური ტექსტების ნამცეცები, როგორიცაა, მაგალითად, ჰოფმანის გაცოცხლებული გვამი ან თომას კიდის „ესპანური ტრაგედიის“ ცნობილი ეპიზოდი, ერთ-ერთი პერსონაჟის, თეკლას პირით გახმიანებული: „უმალ ენას მოვიკვნეტ და გადმოვაფურთხებ“ (Conrad, 2001, p. 177). სწორედ ამას აკეთებს ტრაგედიის გმირი, ჰიერონიმო, პიესის ბოლოს. და ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია.

ლეო ვარდიაშვილის რომანიც „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ დასავლელი (ბრიტანელი) მკითხველისთვის უცხო სამყაროზეა. მოქმედება თითქმის მთლიანად საქართველოში მიმდინარეობს, გარდა იმ ანალეფსისებისა, როცა პროტაგონისტი, საბა, ინგლისში გატარებულ წლებს იხსენებს.

ატმოსფერო მთლიანად უცხოა და ამას ემატება ის სიურრეალისტური გარემო, რაც წყალდიდობას მოჰყვება შედეგად. ქუჩებში მოხეტიალე ვეფხვი, მგლები, მელა, ბეჰემოთი და სხვა ცხოველები თბილისს სრულიად არარეალურ ქალაქს ამსგავსებენ, სადაც გარდა ყოველდღიური საფრთხეებისა და საბას კვალში ჩამდგარი პოლიციისა, ქალაქში მოთარეშე ცხოველებიც პროტაგონისტის სიცოცხლეს ემუქრებიან. ეს ისეთივე სახიფათო ადგილია, როგორიც რომანის ლაიტმოტივი ზღაპრის კუდიანის ტყე. მთელი ეს სამყარო კი საბჭოთა არქიტექტურის კვალით დადაღულა.

ვარდიაშვილის რომანში უცხოობა რამდენიმე შრედ და საზღვრად გვხვდება. ყოველ საზღვარს უცხოობის ახალი ფენა მოჰყვება. ჯერ არის თბილისის აეროპორტი, რომელსაც დასავლელი მკითხველი პოსტ-საბჭოურ ქალაქში გადმოჰყავს; შემდეგ არის მთები, რომლებიც უშგულისკენ ხსნიან გზას. ბოლოს კი რეალური (მტკივნეული) საზღვარი, რომელსაც მკითხველი და გმირები სამაჩაბლოში, კიდევ უფრო განსხვავებულ სამყაროში, სხვანაირად საშიშ და განადგურებულ მიწაზე გადაჰყავს.

ამ რომანსაც დაჰკრავს ენობრივი სიუცხოვის ფერი. აქ ვხვდებით ისეთ ქართულ ფრაზებს, როგორიცაა ზედმეტსახელები (Bublik), წამოძახილები (Vai, Vai), ისეთი ქართული ფენომენები, როგორიცაა თამადა (Tamada – იქვეა განმარტებული, რადგან თავად ცნებაცა და სიტყვაც უცხოა ინგლისელი მკითხველისთვის) და ქვევრი, რომლის დახუფვის, წმენდისა და გახსნის ამბავს ნოდარი უყვება საბას. გვხვდება ისეთი იდიომატური გამოთქმები, როგორიცაა „ჩაილურის წყალი დალია“ (sipped the Chailuri water). ფრაზა ხომ უცხოა მკითხველისთვის და ხაზს უსვამს თავად საბას უცხოობასაც, რადგან მასაც არ ესმის ამ გამოთქმის მნიშვნელობა. ხშირად გამოყენებული „Motherless“, რომელიც ქართული გინების ნაცვალია, ინგლისური ტექსტისთვის არაორგანულია. მიმართვა „Brother“ ქართულ „ძმაოს“ ეხმიანება და ტექსტის უცხოობის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია. თუმცა კი ქართულ თარგმანში უკვე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გადმოდის.

ტექსტში შემოტანილ სამაჩაბლოს სოფლების სახელებს ავტორმა რეალურის ნაცვლად ქართული სიტყვები შეუსაბამა. ასე ჩნდება ინგლისურ ტექსტში დიდი სოფელი (Didi Sopeli), იმედიანი (Imediani), კოკეთი (Koketi), დამწვარი (Damtsvari), საწყისი (Satskisi), მიგდებული (Migdebuli), რომლებშიც ავტორი გარკვეულ თვისებებს დებს ჩამალული კოდებივით. თუმცა მოგვი-

ანებით ქართულ თარგმანში ყველა მათგანი რეალური სახელით ჩანაცვლდა (ფაწა, ჯავა, დიდი გუფთა, ქემერტი, ხეითი, მამითა). მთავარი მაინც ის სიუცხოვეა, რასაც მათი უცხოხმოვანება სძენს ინგლისურ ტექსტს .

უცხოობის ასეთ ხარისხს, რასაკვირველია, შეიძლებოდა, ისე დაეშორებინა მკითხველი და ტექსტი, რომ მიუწვდენელი, რთული ან თუნდაც უინტერესო გაეხადა ის. თუმცა ავტორი ამ ყველაფერს გამოახვევს ისეთ ცნობილ ფაბულაში, როგორიცაა ძიება (Quest) და მინიშნებებს აყოლილ პროტაგონისტს მკითხველიც ჩვეული ინტერესით აედევნება. არ შეიძლება, არ აღინიშნოს დასავლური ტექსტების სიჭარბე, რომელიც ძიების ცნობილი ჩარჩოსა და უცნობი სამყაროს გარშემო ნაცნობ ქსელს აბამენ. რომანი ძმები გრიმების ცნობილი ზღაპრის „ჰენსელი და გრეტელის“ მოტივზეა აგებული და სათაურადაც ამ ზღაპრის დასაწყისი აქვს – „ერთი დიდი ტყის მახლობლად.“ გარდა ამისა, მთავარ გმირს ძიების გზაზე ხშირად ხვდება მინიშნებები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ ცნობილ ტექსტებთან, როგორიცაა ფრენკ ბაუმის „ოზის საოცარი ჯადოქარი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა,“ „მაკბეტი“ და სხვა. ცნობილი ტექსტებით აწყობილი ასეთი უცხო სამყარო კი, როგორც აღმოჩნდა, კონრადის ტექსტის მსგავსად სწორედ ამ ორის, უცხო-ნაცნობის წარმატებისთვის საჭირო კომბინაციას შეიცავდა. როგორც საბას უკვალავს ნაცნობი ფრაზები (მინიშნებები) უცხო სამყაროში გზას, ასევე უკვალავს ნაცნობი ტექსტები მკითხველს გზას უცხო ტექსტში.

ორივე რომანი უცხოობის შემცველია და ზემოთ გამოთქმული აზრი, რომ უცხო თან ახლოს არის და ამავე დროს შორს, ორივე შემთხვევაში გამართლებულია. ორივე ამბავი შორი ქვეყნიდან, შორეული ხალხებიდან მოდის (როგორც უცხო), თუმცა ორთავ ტექსტი ინგლისური ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია.

პერსონაჟი, როგორც უცხო

პერსონაჟის უცხოობა არის ის საკითხი, სადაც თემატურად და სიმბოლურად უცხო თავს იჩნეს ორივე მწერლის შემთხვევაში. კონრადის სხვა ტექსტებს თუ გადავხედავთ, ადვილად შესამჩნევია, რომ უცხოობა მისი პერსონაჟებისთვის არსებობის მთავარი მოდუსია. კურცი, ლორდი ჯიმი, ნოსტრომო, ალმაიერი – ესენი ყველა უცხოელი და ამავე დროს, უცხოები არიან თავიანთ სამყაროში, რაც მათი ტრაგედიის მიზეზი ხდება.

ჯეფრი მაიერსი წინასიტყვაობაში, რომელიც რომანს „დასავლეთის თვალწინ“ დაურთო, წერს, რომ ეს რომანი სხვა თემებთან ერთად, „გადასახლებაში მყოფების მარგინალურ ცხოვრებას წარმოაჩენს“ (Conrad 2001: ix). ეს კი

თავისთავად გულისხმობს, რომ რომანი უცხოობაში, უცხოდ ყოფნის ამბებზეა დაწერილი.

ადამიანის მარტოობა, უცხოობა და იზოლაცია მთავარი პერსონაჟის, რაზუმოვის ყოფიერების ჩარჩოა. „მის აზრთა და მის გრძნობათა ჩამოყალიბებაზე არანაირ ოჯახურ გავლენას არ მიეღო მონაწილეობა. ის ისევე მარტო იყო ამ სამყაროში, როგორც ღრმა ზღვაში მოცურავე ადამიანი. სიტყვა „რაზუმოვი“ მარტოსული განყენებულობის აღმნიშვნელი იყო“ (Conrad, 2001, p. 10).

ეს მოკლე ნაწყვეტი ჯერ კიდევ რუსეთში ცხოვრებისას რაზუმოვის გაუცხოებულ და იზოლირებულ ყოფიერებას კარგად აღწერს. თუმცა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ მისი მარტოობის, უცხოობის მიზეზები.

რაზუმოვი დიდგვაროვნის უკანონო შვილია, რომელიც საკუთარ ფესვებს, საკუთარ ოჯახს მოწყვეტილია და თავის ნახევარდებს ისე შეჰხარის შორიდან, როგორც გადასახლებაში მყოფი ადამიანი სამშობლოს. მისი „რუსისთვის უჩვეულოდ შავგვრემანი“ გარეგნობა მას თავიდანვე განასხვავებს დანარჩენი, ქერა რუსებისგან. ჰალდინიც, რაზუმოვის ნახევარ-დებიც და ტექსტში ნახსენები რამდენიმე სტუდენტიც ქერა თმითა და ვარდისფერი ცხვირით გამოირჩევიან. მხოლოდ რაზუმოვია გამოკვეთილად შავგვრემანი. მისი ნაკვთები არისტოკრატულად დახვეწილი არ არის, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგი შესახედაობის ახალგაზრდად ითვლება. ეს გარეგნული ელემენტი გვიჩვენებს, რომ ორ სოციალურ ფენას შორის გაჭედილი პერსონაჟი არც ერთს მიეკუთვნება და შესაძლოა, ეს იყოს კიდეც მისი უცხოდყოფნის მიზეზი. და მიზეზი იმისა, რომ მას რევოლუციონერებისა და მათი მისწრაფებების არ ესმის. იგი რუსეთში მიმდინარე რევოლუციური პროცესებისგან ისევეა გამოთიშული, როგორც უცხო იქნებოდა ადგილობრივ თემში მიმდინარე პროცესებისგან გათიშული.

გარდა იმისა, რომ რაზუმოვს მისი გარეგნობა განასხვავებს, იგი იმითაც გამოირჩევა, რომ სიტყვაძუნწია – ეს თვისება რაზუმოვს დანარჩენი თანამემამულეებისგან გამოჰყოფს, რადგან მანამდე მთხრობელი ახსენებს რუსების უხვ-სიტყვიანობის სიყვარულს, რომელიც არც მთლად ყბედობაა, მაგრამ არც მჭევრმეტყველებაში ითვლება (Conrad, 2001, p. 6). მისი სიტყვაძუნწობა ხდება კიდეც იმის მიზეზი, რომ რაზუმოვს რევოლუციონერები საკუთარ მოკავშირედ მიიჩნევენ.

მისი თავშეკავებული და „მკაცრი ინგლისური მანერები“ რაზუმოვის უცხოობის შემადგენელი ნაწილია. ჰალდინი მას „ნამდვილ ინგლისელს“ უწოდებს. მისი ცივი, აღმატებული გონება, რომლის გაგება არავის ძალუძს, რუსეთის უკიდეგანო მიწაზე მის მარტოობას განაპირობებს. ის უცხოა საკუთარ მიწაზე. იგი არავის ეკუთვნის და არც რამე კავშირები გააჩნია. როცა დასჭირდა, მორალური მხარდაჭერაც კი არსად ეგულებოდა. იგი არავის ადარ-

დებს და საშინლად მარტოსულია. „არც ერთ მათგანს არ შეუძლია იგრძნოს ან იფიქროს ისე ღრმად, როგორც მე“, – ფიქრობს ის ქუჩაში მოსიარულე ხალხის დანახვაზე. „მინდა ჩემი ესმოდეთ,“ – წერს სასოწარკვეთილი, როცა რვა მილიონ კაცში არ ეგულება ერთი, რომელსაც გულს გადაუხსნიდა (Conrad, 2001, p. 30). პროტაგონისტის უცხოდ ყოფნა, როგორც მკვლევრების მიერ აღწერილი სახიფათო მდგომარეობა, განსაკუთრებით ნიშანდობლივია რუსეთში, სადაც ყოველგვარი უცხო და უცხოური (foreign) სახიფათო და საძულველია.

რაზუმოვის უცხოობა კიდევ უფრო შესამჩნევია ემიგრაციაში, სადაც იმ ერთადერთსაც მოწყვეტილია, რაც თავისად მიაჩნია და რასაც თავს მიაკუთვნებს – რუსეთს.

მისი სიტყვაძუნწობა თვალსაჩინოა უცხოეთშიც რევოლუციონერებს შორის და პიტერ ივანოვიჩიც აღნიშნავს, რომ მისი ეს თვისება და მკაცრად შეკრული წარბები მას სხვებისგან გამოარჩევს. როგორც უნდა ამტკიცოს თავად რაზუმოვმა, რომ არაფრით გამოირჩევა, მისი თვისებები მაინც განასხვავებს ყველას თვალში. მისი გაუცხოვება და მარგინალური მდგომარეობა კონრადს იმისთვის სჭირდებოდა, რომ რაზუმოვს ერთადერთი ფესვსადგამი რუსეთის მიწაზე ეპოვა. „მე ის ვარ“ (Conrad, 2001, p. 154), – იტყვის რაზუმოვი რუსეთზე. როგორც კონრადი წინასიტყვაობაში შენიშნავს, რაზუმოვის ასეთი გაუცხოვება განაპირობებს იმას, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა რუსი (Conrad, 2001, p. xxi).

რაზუმოვის მიმართებაში გვხვდება ისეთი ეპითეტები, როგორიცაა იდუმალი და ენიგმატური, რაც ლიტერატურაში სწორედ უცხოს მიმართ გაისმის (მაგ. ბოდლერის „უცხო,“ მარკ ტვენის „იდუმალი უცხო“).

ჩვენ მიერ სხვადასხვა მკვლევრის მიერ მოყვანილი თვისებებიდან რაზუმოვს ბევრი შეგვიძლია მივუსადაგოთ. მიუხედავად იმისა, რომ ის უცხოელი არ არის, ის თემშია და ამავე დროს არც არის. მას ახასიათებს ისეთი თვისებები, რომლებიც გამოარჩევს დანარჩენი რუსებისგან და რის გამოც ის ერთგვარ გარიყულობაშია და მასა და რევოლუციონერებს შორის ისეთივე ნაპრალია, როგორც უცხოსა და ადგილობრივ თემს შორის.

რაზუმოვს თავიდანვე საკუთარი გზა აქვს არჩეული, არც რევოლუციონერი სტუდენტების პათოსს იზიარებს და არც მათ წინააღმდეგ იბრძვის. ამ მისთვის აბსურდულ დაპირისპირებაში ის თავისივე სურვილის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა ჩართული. თუმცა, კამიუს მერსოსგან განსხვავებით, იგი უარს ვერ ამბობს, „მიღებული თამაში ითამაშოს.“ რაზუმოვის ფიგურა, კონრადმა „რუსული სულის“ ქარგაზე ააგო. მისი არსებობის და აბსურდულ სამყაროსთან შეჯახების ისტორიაც რუსულ ეგზისტენციალიზმს მიჰყვება: კერძოდ კი, რაზუმოვის ტრაგიკული აბსურდულობა უნდა დაიძლიოს ტანჯვის, მონანიების გზით. ეს გზა არის მოაზროვნის (თავად მისი გვარიც ხომ გონებასა და

აზროვნებას უკავშირდება: разум – აზრი, გონება) მიერ არჩეული გზა. როგორც რომანში სოფია ანტონოვნაც (ერთ-ერთი რევოლუციონერი) აღნიშნავს, მას შეეძლო ისე გაეგრძელებინა ცხოვრება, რომ ვერვინ გაიგებდა მისი ღალატის ამბავს. მაგრამ სრულებით უსაფრთხო მდოგმარეობაში მყოფიც კი არჩევს, აღიაროს საკუთარი დანაშაული, უარი თქვას ისეთი შესანიშნავი არსების სიყვარულზე, როგორიც ნატალი ჰალდინია. აღიარების გზით რაზუმოვი თავისუფლდება ყოველივე იმისგან, რაც უცხოა მისი ბუნებისთვის – ორმაგი აგენტობისგან, მოღალატეობრივი არსებობისგან და საბოლოოდ, მონანიების, დასახიჩრების შემდეგ, იგი უბრუნდება თავის მიწას, სადაც მას პერიოდულად სტუმრობენ რევოლუციონერები და მის იდეებს, მის საუბარს უგდებენ ყურს.

დოსტოევსკის გმირების მსგავსად, რაზუმოვის ეგზისტენციალური კრიზისი საზრისს მოკლებულ სამყაროსთან დაპირისპირება კი არ არის, არამედ სულიერი ბრძოლაა მისსავე არსებაში. დასავლური ეგზისტენციალიზმისგან განსხვავებით, რუსული ეგზისტენციალური ძიება ღმერთის, რწმენის, ცოდვისა და მონანიების გზაზე გადის, რაც რუსული აზროვნების ჩამოყალიბებაზე მართლმადიდებლობის გავლენით არის განპირობებული.

ვარდიაშვილის რომანის გმირს რომ შევადაროთ, აღმოვაჩენთ, რომ ისიც უცხოობასა და უცხოთა შორის, უცხო სამყაროში დაიარება. მაგრამ ყველაზე მთავარი, იგი უცხოა საკუთარი თავისთვისაც, რომელიც მამის ძიებაში უნდა იპოვოს.

უცხოობა ოჯახშიც ჩამდგარა. და ალბათ ყველაზე ნიშანდობლივი ომის შედეგად დაკარგულ შვილსა და მამას შორის, ომსა და მშვიდობას შორის ჩანს.

ბავშვობაში ინგლისს თავშეფარებულ საბას „იმ ჭაობში“ ფესვები არასდროს გაუდგამს. „ფერადოვან და ლამაზ ცხოვრებად ხორცშესხმულ სამყაროში“ (რაც ბავშვებისთვის დასავლეთის სახეა), „ახალ და უცნაური ლონდონურ სამყაროშიც“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 165) კი საბა და მისი ძმა გამუდმებით სახლში დაბრუნებაზე ოცნებობენ. მაგრამ საკუთარ სამშობლოში ჩამოსულიც უცხოა საბა. იგი უცხოა თავისი აქცენტით, ინგლისური სიგარეტითა და Pink Floyd-ის მაისურით. გარეგნობა იმდენად გამოარჩევს, რომ თვითმფრინავში გამცილებელი მას ინგლისურად მიმართავს და გაუკვირდება, როცა საბა ქართულად დაუბრუნებს პასუხს.

ავტორი არაერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ „შინ ვერ დაბრუნდები“, რადგან იქ, სადაც ჩახვალ, შენი სახლი აღარ დაგვხდება, როგორც არ ხვდება საბას, რომლის სახლიც ის-ის არის მაღაზიად გადაუკეთებიათ; როგორც არ დახვდა ნოდარს, რომლის სახლიც ომის დროს გადაბუგულა. „და ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარდა, შეიძლება იქცეს ადგილად, რომლისაც ყველაზე მეტად გეშინია“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 166). შიში კი,

უპირველეს ყოვლისა, მოდის იმ შეგრძნებიდან, რომ ეს ადგილი შენ აღარ გეკუთვნის და შენც უცხო გამხდარხარ მისთვის.

მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ საბა უცხოა ლევინასისეული გაგებით – ის მოდის უცხო ადგილიდან და მას საკუთარ სახლში (საქართველოში) უნდა უმასპინძლოს ნოდარმა, რომელიც იქცევა კიდეც მის განუყოფელ თანამგზავრად, რადგან საბა ნამდვილი „უცხოს“ მსგავსად მოხეტიალედ რჩება.

როცა საბა ლონდონის პატარა ბინაში „უცნობ მხარეში“ ან როგორც ინგლისურ ტექსტში წერია, „უცნობი თავგადასავლისთვის“ ემზადება, მას ნაკლებად ჰგონია, რომ ეს უცნობი მხარე სწორედ მისი „მე“ არის. მამის ძიებას აყოლილმა ყველაზე მთავარი უნდა აღმოაჩინოს – საკუთარი თავი. უცხო სამყაროს ყველა საზღვარზე ახალი, აქამდე უცნობი „მე“ ხვდება. ლონდონში ჩაჩუმებული ხმები, მისი დათრგუნული ნაწილები, საქართველოში ჩამოსვლისთანავე იშვებენ თავს და დღითიდღე ძლიერდებიან. განსაკუთრებით კი ნინო, ანუ მისი „არასისხლისმიერი“ და, მისი ყველაზე ბნელი ნაწილი, რომელიც სამაჩაბლოში გადასვლისას უკვე ისეთი ძლიერია, რომ საბას ცნობიერ გულისთქმას თითქმის სძლევს კიდეც. იუნგისეული „აჩრდილები“ საბას ცნობიერში თავისუფლად დათარეშობენ. ისინი იმ უცხოსა და უცნობ შრეებს წარმოადგენენ, რომელიც საბას ჯერაც არ შეუცვნია. დათრგუნული ნაწილები ხმას იღებენ, ისე რომ პროტაგონისტის ცნობიერ ნაწილს გადაფარავენ. ნინო მისი სიკვდილისადმი ლტოლვის ნაწილია, თანატოსია, რომლის ყოველი გაძლიერებაც საბას სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. ნინო ის ნაცნობი და ამავე დროს უცხო, არამშობლიური ნაწილია, რომელიც დამზაფრავია და თითქმის ყოველ გამოჩენაზე საბას იმდენად უყინავს სისხლს, რომ ზოგჯერ მოძრაობის უნარსაც კარგავს. ყოველი შეხვედრა „რაღაც უცნაურსა და რაღაც ნაცნობთან“ საბაში მის ამ ნაწილს აღვიძებს. თავად თბილისიც, ოდესღაც მშობლიური ქალაქი, არამშობლიურად, უცხოდ გადაქცეულა და თითქოს იმ ქალაქის მხოლოდ ორეულია, აჩრდილია, რომელშიც საბა და მისი ძმა იზრდებოდნენ. ამიტომაც ქალაქში გადადგმული ყოველი ნაბიჯი დამზაფრავ და გაუცხოვების შეგრძნებას იწვევს, რასაც ფროიდი das Unheimliche-ს უწოდებს.

საბა ამ ხმების ჩაჩუმებას მხოლოდ საკუთარი თავის ნამცეცების პოვნის შემდეგ ახერხებს; იმის გააზრების შემდეგ, რომ ის არც მამამისია და არც დედამისი. მისი გზა ცალკე ბილიკია და მამას მოუსავლეთში არ უნდა გაჰყვეს. ის საბაა და მასში არსებული ხმები მისივეა. მხოლოდ მათი მიღების (იუნგისეული აჩრდილის მსგავსად), გააზრების შემდეგ ახერხებს ამ ხმებთან დამშვიდობებას, რაც მისი „მეს“ პოვნის, თუ გნებავთ, გამთლიანების, კიდევ ერთი ნიშანია.

საბასთვის, რომელიც უსასრულო რბოლაში მომწყვდეული ზაზუნასავით მისდევს მამის კვალს, ეს დევნა ეგზისტენციალური საკითხია. მან უნდა მიაგნოს ცხოვრებაში იმ საზრისს, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე. მისი ლონდონური ყოველდღიურობა ხომ უბრალოდ არსებობაა. და ეს დევნა ისევე მთავრდება, როგორც მერსოს ცხოვრებისეული გადასინჯვა: ცხოვრებაში არ არსებობს უმაღლესი საზრისი. ცხოვრება აბსურდულია. მამის დანატოვარ კვალს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს – ეს უბრალოდ პურის ნამცეცებია, რომელსაც ბუნება ისევე გააქრობს, როგორც ტყეში სამუდამოდ გაუჩინარებულ ირაკლის. სამყაროში არანაირი აზრი და მნიშვნელობა არ დევს, რომელიც თუნდაც საბას მიიყვანდა ცხინვალში. ეს არის სამყარო საზრისის გარეშე, სადაც პატარა ბავშვები ომის საშინელებებში მუნჯდებიან, მეგობრებს ტრიალ მინდორზე ტყვიით განგმირულს ტოვებ ან კიდევ მანქანაში აალებულს უყურებ, როგორ იფერფლება; სადაც შენ თავად შეიძლება იქცე მკვლელად და სადაც საკუთარ სიბნელესთან გამკლავება გიჭირს, რადგან ცხოვრებას „არც სირცხვილი აქვს და არც სინდისი. ის გულგრილად უყურებს ადამიანურ კომედიას და ადამიანურ ტრაგედიას“ (შესტოვი, 2020, გვ. 150). ამის გააზრების და მიღების, სიმართლისთვის თვალის გასწორების შემდეგ კი საბა, სისიფესავით წელგამართული, დამშვიდებული უბრუნდება ცხოვრებას, სანამ ამ ცხოვრების ლოდი ისევ წამოეწეოდეს და ისევ ჩაერთვებოდეს ცხოვრების აბსურდულ ჯაფაში.

როგორც დავინახეთ, უცხოობა ორივე რომანის – „დასავლეთის თვალწინ“ და „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ – შემთხვევაში პერსონაჟის უცხოელობით კი არ არის გამოწვეული, არამედ მათ უცხოდ ყოფნას განაპირობებს მათი მარგინალური მდგომარეობა და უცხოსთვის დამახასიათებელი სხვა თვისებები, მოცემულ თემთან მათი სიახლოვე (ეთნიკური) და ამავე დროს მათი სიშორე (გარეგნობა, ენა, ხასიათი, წარმოდგენები). ორივეს შემთხვევაში უნდა დაიძლიოს ერთგვარი ეგზისტენციალური კრიზისი ახალ ყოფიერებაში გადასასვლელად.

ამგვარად, უცხო კონრადისა და ვარდიაშვილის რომანებში რამდენიმე სახეს იღებს. ზოგჯერ ეს არის თავად ტექსტი, რომელიც ინგლისური და უცხოური ფრაზების, გამონათქვამების ნარევია. ხანაც ატმოსფერო და წიგნის სამყაროა უცხო, დასავლელი მკითხველისთვის უჩვეულო, ამოუცნობი და იმავდროულად, საინტერესო. ნაცნობი გამოცდილებებისა და ტექსტების უცხოსთან შერწყმის შედეგად კი ვიღებთ ისეთ ტრანსცენდენტურ ტექსტებს, რომლებიც იოლად ლახავენ საზღვრებს და შეუძლიათ მსოფლიო ლიტერატურის ნაწილად იქცნენ. ორივე მწერლისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია უცხოობის თემა და უცხოობაში არსებობა. მათი პროტაგონისტები უცხოები

არიან და ეს არის ის, რაც სათავეს უდებს მათ თავგადასავლებსა და საბედისწერო გზას. ამასთან, ვხვდებით უცხოობის რამდენიმე განზომილებას: უცხოობას ოჯახში, უცხოობას საკუთარ ხალხში, უცხოდ ყოფნას ემიგრანტობაში და საკუთარ „მე“-სთან უცხოდ ყოფნასაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორივე ტექსტი უცხო და ნაცნობის მკვიდრი ერთიანობაა, რომელიც გამოხატულია როგორც ენობრივად, ასევე რომანის ატმოსფეროსა და გარემოში. კონრადის მხრივ მთხრობელის გამოყენება რუსებსა და დასავლელ მკითხველს შორის, ხოლო ვარდიაშვილის მხრივ ერთგვარი სიურრეალისტური სამყაროს დახატვა ქმნის უცხოობისა და ეგზოტიკურობის განცდას, რომელიც უცხოა და თან ასეთი ნაცნობი. ეს კი აღვივებს მკითხველის ინტერესს და იზიდავს მას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ექსოფონურ ტექსტებს ერთმანეთისგან 100 წელზე მეტი აშორებს, მათი შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ უცხოობა როგორც ტექსტის, ისე პერსონაჟების ნიშანდობლივი თვისებაა. ლეო ვარდიაშვილი თავის რომანში ორ სამყაროს (ერთმანეთის ორეულს) ახსენებს, რომლებიც პერიოდულად ერთმანეთს უახლოვდებიან (ვარდიაშვილი 2024: 288). ამ რომანებშიც ორი სამყაროს, ორი ენის ორბიტები იკვეთება, და მათ შორის, როგორც ვარდიაშვილი ორ პარალელურ სამყაროზე წერს, კედელი ისეთი სიფრიფანა ხდება, რომ ერთმანეთში იღვრება მანამდე უცხო სიტყვები, ფრაზები და იდეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვარდიაშვილი, ლეო. (2024). *ერთი დიდი ტყის მახლობლად.* მთარგმნ. დავით ახალაძე. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა,

კონრადი, ჯოზეფ. (2025). *ავტოკრატია და ომი.* მთარგმნ. ნონა მაზიაშვილი. თბილისი: „ინტელექტი“.

შესტოვი, ლევ. (2020). *დოსტოევსკი და ნიცშე – ტრაგედიის ფილოსოფია.* მთარგმნ. გია ბერაძე. თბილისი: „ინტელექტი“.

Bauman, Z. (2002).*Modernity and the Holocaust*. New York: Cornell University Press.

Bloom, Harold. (1995). *The Western Canon*. London: Papermac.

Bloom, Harold, ed. (2009). *The Stranger - Albert Camus.* Infobase Publishing.

Camus, Albert. (2004).*The Stranger.* Translated by Patrick McCarthy. Cambridge: Cambridge University Press.

Conrad, Joseph. (2001). *Under Western Eyes*. New York: Modern Library.

Cook, Kay. (2022). “The Sociological Concept of the Stranger and Its Methodological Use in Literature.” *Epigram*, October.

Freud, S. (2003). *The uncanny*. Trans. D. McClintock. London: Penguin Books.

Hochschild, Adam. (2018). “Stranger in Strange Lands: Joseph Conrad and the Dawn of Globalization.” *Foreign Affairs* 97 (2): 150-155. https://doi.org/10.2307/44822089.

Jung, C. G., and Joseph Campbell. (1976). *The Portable Jung*. New York: Penguin Books.

Levinas, Emmanuel. (2007). *Totality and Infinity: An Essay on Exteriority*. Trans. Alphonso Lingis. Pittsburgh: Duquesne University Press.

Ljubimova, Natalia V. (2015). "Mehr-Und Anderssprachigkeit in Der Neueren Deutschsprachigen Literatur." *Das Wort. Germanistisches Jahrbuch Russland 2014/2015*, Ed. Natalja Korolewski. Bonn: Deutscher Akademischer Austauschdienst, 127-134.

Luyat, Anne. (2007). "Always a Stranger: Joseph Conrad and Detachment." *Yearbook of Conrad Studies* (Vol. III). 41–51. https://ejournals.eu/en/journal/yearbook-of-conrad-studies/article/always-a-stranger-joseph-conrad-and-detachment.

Martin, Molly. (2020). "Exophony: The Link between Language and Identity." *Italics Magazine*. October. https://italicsmag.com/author/molly/.

Moretti, Franco. (2000). "Conjectures on World Literature." *New Left Review*, https://newleftreview.org/issues/II1/articles/franco-moretti-conjectures-on-world-literature.

Saldukaitytė, Jolanta. (2016). "The Strangeness of Alterity." *Levinas Studies* 11: 95-120. https://doi.org/10.2307/26942986.

Saldukaitytė, Jolanta. (2019). "The Place and Face of the Stranger in Levinas." *Religions* 10 (2): 10-67. https://doi.org/10.3390/rel10020067.

Schwieler, Elias. (2012). "Being a Stranger and the Strangeness of Being: Joseph Conrad's 'The Secret Sharer' as an Allegory of Being in Education." *Educational Philosophy and Theory* 45 (4): 409-19. https://doi.org/10.1080/00131857.2012.718147.

Simmel, Georg. (1976)."The Stranger." *The Sociology of Georg Simmel*. New York: Free Press.

Stamelman, Richard. (1993). "The Strangeness of the Other and the Otherness of the Stranger: Edmond Jabes." *Yale French Studies* 1 (82): 118. https://doi.org/10.2307/2930215.

Stape, J. H., ed. (1996). *The Cambridge Companion to Joseph Conrad*. Cambridge: Cambridge University Press.

Thomsen, Mads Rosendahl. (2013). "Strangeness and World Literature." *CLCWeb: Comparative Literature and Culture* 15 (5). https://doi.org/10.7771/1481-4374.2351.

Tötösy de Zepetnek Steven, and Tutun Mukherjee. Eds. (2013). *Companion to Comparative Literature, World Literatures, and Comparative Cultural Studies*. New Delhi: Cambridge University Press India.

Vardiashvili, Leo. (2024). *Hard by a Great Forest*. New York: Riverhead Books.

References:

Bauman, Z. (2002).*Modernity and the Holocaust*. New York: Cornell University Press.

Bloom, Harold. (1995). *The Western Canon*. London: Papermac.

Conrad, Joseph. (2001). *Under Western Eyes*. New York: Modern Library.

Cook, Kay. (2022). "The Sociological Concept of the Stranger and Its Methodological Use in Literature." *Epigram*, October.

Freud, S. (2003). *The uncanny*. Trans. D. McClintock. London: Penguin Books.

Hochschild, Adam. (2018). “Stranger in Strange Lands: Joseph Conrad and the Dawn of Globalization.” *Foreign Affairs* 97 (2): 150-155. https://doi.org/10.2307/44822089.

Jung, C. G., and Joseph Campbell. (1976). *The Portable Jung*. New York: Penguin Books.

K’onrad, Joseph. (2025). Avtok’ratia da Omi. [Autocracy and War]. Mtargmn. Nona Maziashvili. Tbilisi: „intelekt’i“,

Levinas, Emmanuel. (2007). *Totality and Infinity: An Essay on Exteriority*. Trans. Alphonso Lingis. Pittsburgh: Duquesne University Press.

Ljubimova, Natalia V. (2015). “Mehr-Und Anderssprachigkeit in Der Neueren Deutschsprachigen Literatur.” *Das Wort. Germanistisches Jahrbuch Russland 2014/2015*, Ed. Natalja Korolewski. Bonn: Deutscher Akademischer Austauschdienst, 127-134.

Luyat, Anne. (2007). “Always a Stranger: Joseph Conrad and Detachment.” *Yearbook of Conrad Studies* (Vol. III). 41-51. https://ejournals.eu/en/journal/yearbook-of-conrad-studies/article/always-a-stranger-joseph-conrad-and-detachment.

Martin, Molly. (2020). “Exophony: The Link between Language and Identity.” *Italics Magazine*. October. https://italicsmag.com/author/molly/.

Moretti, Franco. (2000). “Conjectures on World Literature.” *New Left Review*, https://newleftreview.org/issues/II1/articles/franco-moretti-conjectures-on-world-literature.

Saldukaitytė, Jolanta. (2016). “The Strangeness of Alterity.” *Levinas Studies* 11: 95-120. https://doi.org/10.2307/26942986.

Saldukaitytė, Jolanta. (2019). “The Place and Face of the Stranger in Levinas.” *Religions* 10 (2): 10-67. https://doi.org/10.3390/rel10020067.

Shestov, Lev. (2020). *Dostoevsk;i da Nitsshe – T’ragediis Pilosopia*. Mtargmn. Gia Beradze. [Dostoevsky and Nietzsche: The Philosophy of Tragedy]. „Intelekti“.

Schwieler, Elias. (2012). “Being a Stranger and the Strangeness of Being: Joseph Conrad’s ‘The Secret Sharer’ as an Allegory of Being in Education.” *Educational Philosophy and Theory* 45 (4): 409-19. https://doi.org/10.1080/00131857.2012.718147.

Simmel, Georg. (1976)."The Stranger." *The Sociology of Georg Simmel*. New York: Free Press.

Stamelman, Richard. (1993). “The Strangeness of the Other and the Otherness of the Stranger: Edmond Jabes.” *Yale French Studies* 1 (82): 118. https://doi.org/10.2307/2930215.

Stape, J. H., ed. (1996). *The Cambridge Companion to Joseph Conrad*. Cambridge: Cambridge University Press.

Thomsen, Mads Rosendahl. (2013). “Strangeness and World Literature.” *CLCWeb: Comparative Literature and Culture* 15 (5). https://doi.org/10.7771/1481-4374.2351.

Tötösy de Zepetnek Steven, and Tutun Mukherjee. Eds. (2013). *Companion to Comparative Literature, World Literatures, and Comparative Cultural Studies*. New Delhi: Cambridge University Press India.

Vardiashvili, Leo. (2024). *Erti didi tq’is makhloblad*. Mtargmn. Davit Akhaladze. [*Hard by a Great Forest*]. Tbilisi: Bak’ur Sulak’auris gamomtsemloba.

Vardiashvili, Leo. (2024). *Hard by a Great Forest*. New York: Riverhead Books.